საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში მკაცრი აღრიცხვის ფორმების

გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი ადგენს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია“) მიერ მკაცრი აღრიცხვის ფორმების აღრიცხვისა და მათი გამოყენების წესს.

2. მკაცრი აღრიცხვის ფორმების გამოყენება და აღრიცხვა-ანგარიშგება ხორციელდება „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ” საქართველოს კანონის და ამ წესის შესაბამისად.

3. კომისია ვალდებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციაში გაატაროს მის მიერ გამოყენებული ან გამოსაყენებელი, საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან შეთანხმებული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის ფორმის ნიმუში (პროექტი) და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული სხვა მკაცრი აღრიცხვის ფორმის ნიმუში (პროექტი).

4. მკაცრი აღრიცხვა-ანგარიშგების ფორმებით (დოკუმენტებით) მომარაგებას კომისია ახორციელებს დამოუკიდებლად;

5. კომისია ვალდებულია მკაცრი აღრიცხვის ფორმების (დოკუმენტების) წარმოებაში გამოვლენილი დარღვევებისას იმოქმედოს დაუყოვნებლივ, არსებული წესის შესაბამისად;

6. კომისიაში მკაცრი აღრიცხვის ფორმების მიღებაზე, გაცემაზე და შესაბამისი ფორმით აღრიცხვაზე პასუხისმგებელი პირები განისაზღვრება კომისიის თავმჯდომარის ბრძანებით.

მუხლი 2. მკაცრი აღრიცხვის ფორმები

1. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გამოსაყენებელ მკაცრი აღრიცხვის ფორმებს (დოკუმენტებს) წარმოადგენს:

   ა) სალიცენზიო მოწმობები;

ბ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.

მუხლი 3. სალიცენზიო მოწმობა

1. სალიცენზიო მოწმობა გაიცემა კომისიის მიერ ლიცენზიის გაცემის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე;

2. კერძო მაუწყებლობის, სათემო მაუწყებლობის და რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის სალიცენზიო მოწმობა შეიცავს: ლიცენზიის ნომერს, ლიცენზიის მფლობელის დასახელებას, ლიცენზიის მოქმედების ვადას, ლიცენზიის გაცემის საფუძველს/ლიცენზიის პირობებს, სალიცენზიო მოწმობის გაცემის თარიღს.

3. სალიცენზიო მოწმობას ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და კომისიის წევრები.

მუხლი 4. მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუმერაცია

1. ლიცენზიები ინომრება რეესტრში შეტანის მიზნით;

2. კერძო მაუწყებლობის და სათემო მაუწყებლობის ლიცენზიას ენიჭება კოდი B და შემდეგ ინომრება რიგითობის მიხედვით – 1; 2; 3; და ა.შ.;

3. რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიას ენიჭება კოდი F ან MUX და შემდეგ ინომრება რიგითობის მიხედვით – 1; 2; 3; ან A; B; C; და ა.შ.;

4. სამაუწყებლო და რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის სალიცენზიო მოწმობები ინომრება რიგითობის მიხედვით, ექვსნიშნა ნუმერაციით – 00 00 01, 00 00 02 და ა.შ.

5. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმებს ენიჭება ექვსნიშნა ნომერი -00 00 01, 00 00 02 და ა.შ.

მუხლი 5. სალიცენზიო მოწმობის გაცემა ლიცენზიის გადაპირებისას

1. ლიცენზიის სრული პირდაპირი გადაპირებისას ლიცენზიის ნომერი რჩება უცვლელი და გაიცემა ახალი სალიცენზიო მოწმობა;

2. ლიცენზიის ნაწილის პირდაპირი გადაპირებისას ხდება ლიცენზიის ნაწილის გამოყოფა არსებული ლიცენზიიდან, და გამოყოფილ ლიცენზიას ენიჭება ახალი ნომერი. ლიცენზიის ძველ და ახალ მფლობელებზე გაიცემა ახალი სალიცენზიო მოწმობები.

3. პირველი და მეორე პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ძველი სალიცენზიო მოწმობა ითვლება გაუქმებულად; ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია წინასწარ ჩააბაროს კომისიას გაუქმებული სალიცენზიო მოწმობა. წინააღმდეგ შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია წარუდგინოს კომისიას მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტები.

მუხლი 6. სალიცენზიო მოწმობის გაცემა ლიცენზიის ცვლილებისას

ლიცენზიის მოდიფიცირების, (ცვლილების) შემთხვევაში, როცა იცვლება სალიცენზიო მოწმობის რეკვიზიტები, ლიცენზიის ნომერი რჩება უცვლელი და გაიცემა ახალი სალიცენზიო მოწმობა. ამ შემთხვევაში ძველი სალიცენზიო მოწმობა ითვლება გაუქმებულად; ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ჩააბაროს კომისიას გაუქმებული სალიცენზიო მოწმობა. წინააღმდეგ შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია წარუდგინოს კომისიას მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტები.

მუხლი 7. მკაცრი აღრიცხვის ფორმების შევსება და რეგისტრაცია

1. სალიცენზიო მოწმობების შევსებას და რეგისტრაციას სარეგისტრაციო ჟურნალში (დანართი 1) ახორციელებს კომისიის იურიდიული დეპარტამენტის ავტორიზაციისა და ლიცენზირების ჯგუფი.

2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების შევსებას ახორციელებს სპექტრის და ტექნოლოგიების დეპარტამენტი და **მედიამომსახურებების რეგულირების დეპარტამენტი, ხოლო** სარეგისტრაციო ჟურნალში (დანართი 2) რეგისტრაციას ახორციელებს კომისიის ადმინისტრაცია.

მუხლი 8. სალიცენზიო მოწმობების გაცემა

შევსებული სალიცენზიო მოწმობის გაცემა ხდება ლიცენზიის მფლობელის უფლებამოსილ პირზე – დირექტორზე ან საამისოდ უფლებამოსილ წარმომადგენელზე პირადობის

დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის საფუძველზე, რომელიც სარეგისტრაციო ჟურნალში ადასტურებს ხელმოწერით სალიცენზიო მოწმობის მიღებას.

მუხლი 9. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების გაცემა

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ერთი პირი გადაეცემა სამართალდამრღვევს, ხოლო მეორე პირი რჩება შემდგენელთან. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ოქმი შეიძლება გაეგზავნოს სამართალდამრღვევს. იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული ოქმის სამართალდამრღვევისთვის ჩაბარება ვერ ხერხდება, ოქმი ქვეყნდება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ვებგვერდზე.

2. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენიდან ან/და კომისიის მიერ გადაწყვეტილების გამოტანიდან 10 დღის ვადაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ მონაცემები მიეწოდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს (ერთიან საინფორმაციო ბანკს).

3. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე ინფორმაციის მიწოდება ხორციელდება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის პირველი მარტის N271 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიანი აღრიცხვის, საინფორმაციო ბანკის ფუნქციონირებისა და სააღრიცხვო-ანალიტიკური საქმიანობის შესახებ“ ინსტრუქციით.

მუხლი 10. სალიცენზიო მოწმობის დუბლიკატის გაცემა

1. გაცემული სალიცენზიო მოწმობის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში კომისია გასცემს სალიცენზიო მოწმობის დუბლიკატს ლიცენზიის მფლობელის მიერ საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ;

2. დაკარგული სალიცენზიო მოწმობის მფლობელმა დუბლიკატის მისაღებად უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) განცხადება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად;

ბ) ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან სალიცენზიო მოწმობის დაკარგვის შესახებ;

გ) სალიცენზიო მოწმობის დუბლიკატისათვის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

3. განცხადების მიღებიდან 2 დღის ვადაში კომისია გასცემს სალიცენზიო მოწმობის დუბლიკატს და შესაბამისი ინფორმაცია შეაქვს უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში ;

4. გაცემულ დუბლიკატს დაესმება შტამპი აღნიშვნით „დუბლიკატი";

5. გაცემული დუბლიკატის რეგისტრაცია ხდება სალიცენზიო მოწმობის დუბლიკატის რეგისტრაციის ჟურნალში (დანართი 3).

მუხლი 11. მკაცრი აღრიცხვის ფორმების დამზადება და მიღება

1. მკაცრი აღრიცხვის ფორმების შეკვეთას კომისიის შეკვეთის საფუძველზე ახორციელებს პოლიგრაფიული საწარმო, რომლებიც აკმაყოფილებს „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნებს;

2. პოლიგრაფიული საწარმოდან მკაცრი აღრიცხვის ფორმების გამოტანის უფლება აქვს პასუხისმგებელ პირს კომისიის თავმჯდომარის მიერ გაცემული სათანადო მინდობილობის საფუძველზე;

3. პოლიგრაფიული საწარმოდან მიღებული ზედნადები ან/და ანგარიშ-ფაქტურა წარედგინება კომისიის ადმინისტრაციის საფინანსო-საბიუჯეტო ჯგუფს;

4. მკაცრი აღრიცხვის ფორმების მიღებისას, თუ მათი ფაქტიური რაოდენობა და ნუმერაცია არ შეესაბამება თანმხლებ დოკუმენტებში აღნიშნულს, შედგება აქტი, რომელიც წარედგინება ფორმების მიმწოდებელ საწარმოს სხვაობის მიზეზების დასადგენად და სათანადო ზომების მისაღებად;

5. მკაცრი აღრიცხვის ფორმებით დროული უზრუნველყოფისა და სათანადო მარაგების შექმნაზე კონტროლს ახორციელებს კომისიის ადმინისტრაცია.

მუხლი 12. მკაცრი აღრიცხვის ფორმების შენახვა, აღრიცხვა და გაცემა

1. კომისიის მიერ მკაცრი აღრიცხვის ფორმების გაცემა ხორციელდება კომისიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე;

2. მკაცრი აღრიცხვის ფორმებს გასცემს კომისიის ადმინისტრაცია, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე (დანართი 4).

3. მკაცრი აღრიცხვის ფორმები უნდა ინახებოდეს „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტების მოთხოვნათა დაცვით.

4. მკაცრი აღრიცხვის ფორმები უნდა ინახებოდეს ამ ფორმების გამოყენებაზე ან/და აღრიცხვა-ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთან.

5. სათავსი, სადაც ინახება მკაცრი აღრიცხვის ფორმები, უნდა იყოს ხელშეუხებელი გარეშე პირთათვის და სათანადოდ დაცული დაზიანებისაგან.

6. ფორმების გამოყენებაზე ან/და აღრიცხვა-ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირებს სრული პასუხისმგებლობა ეკისრებათ საქვეანგარიშოდ მიღებული მკაცრი აღრიცხვის ფორმების დაცულობისა და მათი ბრალეული დამოკიდებულებით გამოწვეული ზიანისთვის.

მუხლი 13. გამოსაყენებლად უვარგისი მკაცრი აღრიცხვის ფორმების ჩამოწერა

1. მკაცრი აღრიცხვის ფორმები გამოსაყენებლად უვარგისია და ჩამოიწერება:

ა) შევსების დროს დაშვებული შეცდომის გამო;

ბ) ბლანკის ფიზიკური დაზიანების გამო.

გ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

2. გამოსაყენებლად უვარგისი მკაცრი აღრიცხვის ფორმების ჩამოწერა უნდა მოხდეს ჩამოწერის აქტის შედგენით (დანართი 5).

3. ჩამოწერილი მკაცრი აღრიცხვის ფორმების უტილიზაცია ხორციელდება „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ექსპერტიზა-უტილიზაციის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს №1-1/344 ბრძანების შესაბამისად.